ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე პოლიტიკური რეალობა: აშშ-სა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის დეტერმინანტები

ლიკა გახარია

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფავლენიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ლიკა გახარია

26.06.2019

სარჩევი

აბსტრაქტი **4**

შესავალი **6**

საკითხის აქტუალობა. **7**

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო **10**

კვლევის მეთოდოლოგია. **17**

თავი 1. ახლო აღმოსავლეთი, ზესახელმწიფოებრივი იდენტობა და პან-არაბიზმი **19**

თავი 2. ამერიკის საგარეო პოლიტიკის დეტერმინანტები **28**

2.1 პაქს-ამერიკანა 1, ვაშინგტონის სამდონიანი წესრიგი 28

2.2 პაქს ამერიკანა 2, აშშ-ს ინტერვენცია ერაყში 34

თავი 3. რუსეთის საგარეო პოლიტიკის დეტერმინანტები. **38**

3.1. რუსეთის იმპერიული ზრახვები ახლო აღმოსავლეთში. 38

3.2 რეჟიმის ცვლილება ლიბიაში. 41

3.3. რუსულ-სირიული ურთიერთობები: იდენტობა თუ სოლიდარობა? 45

3.4. რუსეთის მატერიალური ინტერესები 48

3.5. რუსეთის გეოპოლიტიკური ხედვები ახლო აღმოსავლეთში. 51

3.6. რუსეთის საგარეო პოლიტიკის დეტერმინანტები ახლო აღმოსავლეთში. 56

თავი 4. კვლევის ანალიზი და დასკვნა **63**

ბიბლიოგრაფია **66**

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პროცესების დინამიკის ანალიზი, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ძლიერ სახელმწიფოთა მიერ განხორციელებული საგარეო პოლიტიკის იდენტური მახასიათებლები იკვეთება. პრობლემების კომპლექსურობას განაპირობებს რამდენიმე ფუნდამენტური საკითხი. უპირველეს ყოვლისა, რეგიონში წარმოდგენილი ქვეყნები არ გახლავთ ურთიერთდაკავშირებული აქტორები. ზოგიერთი მათგანი იმდენად არის ფრაგმენტირებული, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მათი სუვერენიტეტის საკითხი და საგარეო პოლიტიკაში აისახება არა ეროვნული, არამედ მოქმედი რეჟიმის ინტერესები. საკმაოდ მრავალშრიანია გარემო, სადაც საგარეო პოლიტიკის მწარმოებლები ოპერირებენ. საგარეო პოლიტიკის წარმოების პროცესზე, რეგიონალური სახელმწიფოთაშორისი სისტემის მიღმა, გავლენას ახდენს ასევე ტრანს-სახელმწიფოებრივი იდენტობები და გლობალური იერარქია.

ნაშრომში ახლო აღმოსავლეთის რეგიონი წარმოდგენილია, როგორც დესტაბილიზაციის იმპორტიორი, თუმცა განმარტებულია მიზეზები, რომელსაც დასავლური იმპერიალიზმის მიერ რეგიონის საზღვრების პერმანენტულ შეტევამდე მივყავართ.

Abstract

The study of this article is an analysis of the dynamics of political processes in the Middle East, which emphasizes the identical characteristics of foreign policy pursued by powerful states. The complexity of the problems is based on several fundamental issues. First of all, the countries represented in the region are not interrelated subjects. Some of them are so fragmented that their sovereignty is questioned and in their foreign policy are reflected regime interests rather than national. The environment, where foreign policy producers operate is multicultural. The foreign policy process, beyond the regional inter-state system, also is influenced by transstate identities and global hierarchy. The Middle East region is presented as an importer of destabilization, but the reasons lead us to the Western imperialism and its permanent attacks on the borders of the region.